

სესხის გამცემი სუბიექტების მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის  
აღკვეთის სამართლებრივი მექანიზმები

ლონდა თურქოშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლის ფაკულტეტზე კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ამირან მეშველიშვილი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

*„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“*

ლონდა თურქოშვილი:

28.06.2022 წ.

## აბსტრაქტი

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ფულის გათეთრება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო და მასშტაბურ დანაშაულს, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი გარიგებით, სუბიექტით ან ქვეყნით და ხშირ შემთხვევაში არის ტრანსნაციონალური, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი ქმედება.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია საფრთხეს უქმნის პირველ რიგში თავად სახელმწიფოს, მის რეპუტაციას და კრიმინალიზაციის დონეს, რაც თავის მხრივ, დაკავშირებულია საერთაშორისო ბაზარზე ასეთი ქვეყნის ჩართულობასა და მის ეკონომიკასთან.

ნაშრომის მიზანია მკითხველს დაანახოს თუ რა არის ფულის გათეთრება, მისი ლეგალიზაციის ხერხები და მეთოდები სესხის გამცემ სუბიექტებში, საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები და მათი სისუსტეები, როგორცაა ზოგადი ხასიათი, კონკრეტული ღონისძიებების სიმწირე, ფულის გათეთრების სქემაში სესხის გამცემი სუბიექტების ჩართულობის მაღალი რისკი და მათი აღკვეთის ღონისძიებების არაეფექტურობა.

ნაშრომში წარმოდგენილია სესხის გამცემი სუბიექტების მიერ პრაქტიკაში ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბროლის ისეთი მექანიზმების აღწერა, რაც არ არის მოწესრიგებული საკანონმდებლო დონეზე და რაც აუცილებელია იმისთვის, რომ შემცირდეს ასეთი ორგანიზაციების გავლით უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია.

ძირითადი სამიზნო სიტყვები: ფულის გათეთრება, სესხის გამცემი სუბიექტი, პრევენციული ღონისძიებები, პოლიტიკურად აქტიური პირები, იდენტიფიკაცია, ვერიფიკაცია.

It is widely accepted fact that money laundering is one of the most dangerous and large-scale crimes, which is not limited to just one transaction, entity or country, and is often an act committed by a transnational, organized group.

Legalization of illegal income poses a threat primarily to the state itself, its reputation and the level of criminalization, which in turn is related to the involvement of such a country in the international market and its economy.

The aim of this paper is to show the reader what money laundering is, ways and methods of its legalization in lending entities, regulations established by international and national legislation and their weaknesses, such as general nature, scarcity of specific measures, high risk of involvement of lending entities in the money laundering scheme and ineffectiveness of their prevention measures.

The paper presents a description of anti-money laundering mechanisms in practice by lenders that are not regulated at the legislative level and that are necessary to reduce the legalization of illicit proceeds through such organizations.

**Keywords:** money laundering, lending entity, preventive measures, politically active persons, identification, verification.

## სარჩევი

აბსტრაქტი.....	iii
აბრევიატურის ჩამონათვალი .....	v
შესავალი .....	1
თავი 1. სესხის გამცემი სუბიექტების მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის არსი.....	3
1.1. სესხის გამცემი სუბიექტის ცნება, მისი შექმნის მიზნები და რეგულაციები .....	3